

ცნობა

**“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების წესის დამტკიცების შესახებ”.-
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ საკრებულოში დაწყებულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების წესის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დადგენილების მიღების ვადაა 2016 წლის 13 იანვარი დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების წესის დამტკიცების შესახებ “, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2015 წლის 13 იანვრამდე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში, მისამართზე: ქ. ოზურგეთი, მ. კოსტავას ქ. N1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული. (პასუხისმგებელი პირი ნანა თავდუმაძე, ტელ.: 599 98 39 00. ozurgeti.org.ge).

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა #

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით
გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი
საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების
წესის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-3 ნაწილის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს :

მუხლი 1. დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების თანდართული წესი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს ოფიციალურად გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე:

დავით დარჩია

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით
გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო
განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების
წ ე ს ი**

თავი 1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების სფერო1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის ფორმების განსაზღვრისა და შევსების წესი“ (შემდგომში - „წესი“) შემუშავებულია საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-3 ნაწილის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით.

2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017-2020 წლების ბიუჯეტის პროექტით გამოსაყოფ ასიგნებებზე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობაში (შემდგომში - „გამგეობა“) წარსადგენი საბიუჯეტო განაცხადის სტრუქტურასა და ფორმებს, ასევე მათი შევსების მეთოდურ მითითებებსა და გამგეობაში წარდგენის ვადებს.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების (შემდგომში - „საბიუჯეტო ორგანიზაცია“) საბიუჯეტო განაცხადებით გამგეობაში წარმოდგენილი ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის (შემდგომში - „საფინანსო ორგანო“) მიერ განსაზღვრული ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრულ მოცულობებს.

მუხლი 2. ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის ზღვრული მოცულობების განსაზღვრის საფუძვლები

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის, როგორც ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის, ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, საფინანსო ორგანო ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.

2. საბიუჯეტო ორგანიზაციებმა უნდა მოამზადონ საბიუჯეტო განაცხადი საფინანსო ორგანოს მიერ განსაზღვრული ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების ფარგლებში.

3. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ზღვრული მოცულობების ზევით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საბიუჯეტო განაცხადის წარდგენა დასაშვებია მხოლოდ საბიუჯეტო განაცხადით გათვალისწინებული ფორმით.

თავი 2. საბიუჯეტო განაცხადის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები

საბიუჯეტო განაცხადთან მიმართებაში

მუხლი 3. საბიუჯეტო განაცხადის სტრუქტურის განსაზღვრა

1. საბიუჯეტო განაცხადის სტრუქტურა შედგება სპეციალური ფორმებისაგან.

2. საბიუჯეტო განაცხადის ფორმები წინამდებარე წესში წარმოდგენილია შესაბამისი დანართების სახით, კერძოდ, ესენია:

- დანართი N1 (ნაერთი) - საბიუჯეტო ორგანიზაციის განაცხადი ორგანიზაციულ ჭრილში;
- დანართი N2 - საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტის განაცხადი (დონორების დაფინანსებული პროექტების გარეშე);

- დანართი N3 - ინფორმაცია მომუშავეთა რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების შესახებ;
- დანართი N4 - დონორების დაფინანსებული პროექტები;

- დანართი N5 - ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტის შესახებ;
- დანართი N5ა - ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციის შემოსულობების, გადასახდელების და

ნაშთის ცვლილების შესახებ;

- დანართი N6 - საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამული ბიუჯეტი;
- დანართი N7 (ნაერთი) - საბიუჯეტო ორგანიზაციის კაპიტალური ბიუჯეტი;

- დანართი N7ა - საბიუჯეტო ორგანიზაციის კაპიტალური ბიუჯეტი;
- დანართი N8 - ინფორმაცია ზღვრული მოცულობების ზემოთ მოთხოვნილი საბიუჯეტო

ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ.

მუხლი 4. ძირითადი მოთხოვნები საბიუჯეტო განაცხადთან მიმართებაში

1. საბიუჯეტო ორგანიზაციებმა გამგეობას საბიუჯეტო განაცხადები უნდა წარუდგინონ არა უგვიანეს მიმდინარე საბიუჯეტო წლის 1 ნოემბრისა.

2. საბიუჯეტო განაცხადის დანართები წარმოდგენილი უნდა იქნას როგორც ელექტრონული ვერსიის, ისე დოკუმენტური სახით.

3. საბიუჯეტო ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს სრულყოფილად შევსებული საბიუჯეტო განაცხადი. საბიუჯეტო განაცხადის რომელიმე დანართის შეუვსებლობის შემთხვევაში, წარმოდგენილ უნდა იქნეს შესაბამისი წერილობითი დასაბუთება.

4. საბიუჯეტო განაცხადის ყველა დანართში, გარდა მე-3 დანართისა, თანხობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილი უნდა იყოს ათას ლარებში.

5. საბიუჯეტო განაცხადის თითოეული დანართი ხელმოწერილი უნდა იქნეს საბიუჯეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.

6. დასაგეგმი საბიუჯეტო წლის ბიუჯეტის პროექტის მიღებამდე, განაცხადის პროექტში განხორციელებულ ნებისმიერ ცვლილებებთან დაკავშირებით, საბიუჯეტო ორგანიზაცია ვალდებულია გამგეობას წარუდგინოს განახლებული დანართები შესაბამის განმარტებებთან ერთად.

თავი 3. საბიუჯეტო განაცხადის ფორმების შევსების მეთოდური მითითებები

მუხლი 5. „დანართი N1 (ნაერთი) - საბიუჯეტო ორგანიზაციის განაცხადი ორგანიზაციულ ჭრილში“

1. დანართი N1 წარმოდგენილი უნდა იქნეს დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის საბიუჯეტო ორგანიზაციის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად.

2. იმ შემთხვევაში თუ საბიუჯეტო ორგანიზაციის რომელიმე პროგრამა/ღონისძიება სრულდება/იწყება, დანართში უნდა შეივსოს მხოლოდ შესაბამისი წლის სვეტები.

3. თუ საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის ცნობილია ინფორმაცია მიღებული/მისაღები გრანტების ან/და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ, იგი გათვალისწინებული უნდა იყოს ამ დანართის სვეტში „კრედიტები და გრანტები“.

მუხლი 6. „დანართი N2 – საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტის განაცხადი (დონორების დაფინანსებული პროექტების გარეშე)“

1. დანართი N2 ივსება დონორების დაფინანსებული პროექტების გარეშე და მოიცავს ხარჯების ეკონომიკური, არაფინანსური აქტივების ზრდის, ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების მუხლებს, ყველაზე დაბალი თანრიგის მიხედვით.

2. აღნიშნული დანართი ივსება მხოლოდ ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულ / გასათვალისწინებელ ასიგნებებზე (საკუთარი სახსრების გარეშე).

3. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ დანართი N8-ით ზღვრული მოცულობების ზემოთ ასიგნებების მოთხოვნის შემთხვევაში, თანხები უნდა გაიწეროს ამ დანართის შესაბამის სვეტში.

მუხლი 7. „დანართი N3 - ინფორმაცია მოსამსახურეთა რიცხოვნობისა და შრომის ანაზღაურების შესახებ“

საბიუჯეტო ორგანიზაცია ამ დანართს ავსებს გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისთვის შტატიტ გათვალისწინებულ მოსამსახურეთა რიცხოვნობის, თანამდებობების დასახელებების და სარგოების მიხედვით.

მუხლი 8. „დანართი N4 - დონორების დაფინანსებული პროექტები“

1. ამ დანართში აისახება დონორებიდან მიღებული დაფინანსების წყაროებითა და გრანტებით განსახორციელებელი პროექტების და ამ პროექტების თანამონაწილეობასა და თანადაფინანსებაზე გათვალისწინებული ასიგნებები.

2. აღნიშნული დანართის მიხედვით მონაცემები აღირიცხება სუბსიდიების, გრანტების, სხვა ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდის, ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების მუხლების მიხედვით.

3. აღნიშნული დანართით წარმოდგენილი ასიგნებები უნდა შეესაბამებოდეს დანართი N1-ით გათვალისწინებულ ასიგნებებს, საბიუჯეტო სახსრებისა და კრედიტებისა და გრანტების გამოჯვანით.

მუხლი 9. „დანართები N5 და N5a - ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტის შესახებ“

1. დანართების მიზანია თითოეული საბიუჯეტო ორგანიზაციის შემოსავლების, ხარჯების, არაფინანსური აქტივების, ფინანსური აქტივების, ვალდებულებების და მათ ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა გასული, მიმდინარე და დასაგეგმი საბიუჯეტო წლებისათვის.

2. დანართ N5a-ში მოცემულია დანართი N5-ის გამსხვილებული მაჩვენებლები და მასთან დაკავშირებულია შესაბამისი ფორმულებით.

მუხლი 10. „დანართი N6 - საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამული ბიუჯეტი“

1. დანართი N6-ით გათვალისწინებული საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამული ბიუჯეტის განაცხადის ფორმები პირობითად გაყოფილია ორ ნაწილად. პირველი ნაწილი (1-7 პუნქტები) ივსება მხარჯავი დაწესებულების ძირითადი პროგრამების მიხედვით, ხოლო მეორე (მე-8 პუნქტი) – ქვეპროგრამების/ლონისძიებებისთვის, რომლებიც ხორციელდება პროგრამის ფარგლებში.

2. საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამული ბიუჯეტის განაცხადის თითოეულ პუნქტს გააჩნია თავისი შინაარსი:

2.1 **„პროგრამის კოდი“** – წარმოადგენს პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად თითოეული პროგრამისათვის მინიჭებულ შესაბამის კოდს;

2.2 **„პროგრამის დასახელება“** – პროგრამის ის უნიკალური სახელი, რომელსაც მხარჯავი დაწესებულება (მოცემულ შემთხვევაში - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, როგორც თვითმმართველი ერთეული) მიანიჭებს პროგრამას. ამასთან, მხარჯავი დაწესებულების პროგრამა „მენეჯმენტი და ადმინისტრირება“ არ საჭიროებს აღნიშნული დანართის შევსებას;

2.3 **„პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია“** - თითოეული პროგრამის განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულება;

2.4 **„პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი“** - გამოხატავს იმ პოზიტიურ გავლენას, რაც პროგრამის განხორციელებას მოჰყვება გრძელვადიან პერიოდში. საბოლოო შედეგი ყოველთვის განისაზღვრება ძირითადი პროგრამისათვის, თუმცა შესაძლებელია ქვეპროგრამის დონეზეც მოხდეს მისი განსაზღვრა. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ უნდა ჩამოყალიბდეს პროგრამის განხორციელებით მიღწეული საბოლოო შედეგი და არა ის ღონისძიებები, რომელთა განხორციელებაცაა საჭირო საბოლოო შედეგის მისაღწევად. პროგრამის საბოლოო შედეგი უნდა ჩამოყალიბდეს მოკლედ და იყოს სტაბილური (უცვლელი) პროგრამის ხანგრძლივობის განმავლობაში;

2.5 **„პროგრამის მოსალოდნელი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი“** - მოიცავს გაზომვად ინდიკატორს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, მონიტორინგი გაეწიოს მოსალოდნელი საბოლოო შედეგის მიღწევის გზაზე მიღებულ პროგრესს. ინდიკატორი უნდა იძლეოდეს საშუალებას, შეფასდეს, რეალურად მიღწეული იქნა თუ არა პროგრამის განხორციელებით მოსალოდნელი საბოლოო შედეგი. იგი უნდა იყოს: ა) **სასარგებლო** – ადგილობრივ დონეზე პოლიტიკის განმახორციელებლებს უნდა აწვდიდეს შინაარსობრივ და ღირებულ ინფორმაციას; ბ) **შედეგზე ორიენტირებული** – უნდა გამოხატავდეს დასახულ შედეგთან მიმართებას; გ) **ნათელი და გაზომვადი** – იოლად აღქმადი და გასაგები ენით აღწერილი, რათა ყველა დაინტერესებულმა მხარემ შეძლოს მისი გაგება, გამოყენება და მათი მეშვეობით მიღწეული შედეგების შეფასება; დ) **შესაბამისი და მიღწევადი** – ინდიკატორი უნდა იქნეს შერჩეული მოსალოდნელი შედეგის შესაბამისად, ადეკვატურად უნდა ზომავდეს მას და უნდა იყოს რეალისტური, რათა არ მოხდეს მოსალოდნელი შედეგის ზედმეტად ოპტიმისტური ან, პირიქით, ზედმეტად პესიმისტური შეფასება; ე) **შედარებითი** – უნდა იძლეოდეს შესაძლებლობას მოხდეს მიღწეული შედეგების შეფასება დროის სხვადასხვა პერიოდში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები შეიძლება იყოს:

- **რაოდენობრივი** - აღწერს პროგრამის ფარგლებში მისაღებ შედეგებს კატეგორიაში „რამდენი“;
- **ხარისხობრივი** - აფასებს გაწეული მომსახურების თუ მიღებული შედეგის ხარისხს;
- **ეფექტურობის** - აფასებს მიღწეული შედეგის გავლენას მანამდე არსებულ სიტუაციასთან მიმართებაში.

შესრულების შეფასების ინდიკატორები აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს გადამოწმებადობის პრინციპს;

2.6 **„პროგრამის ბიუჯეტი ქვეპროგრამების/ლონისძიებების მიხედვით“** - პროგრამის ბიუჯეტი საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ გაწეული უნდა იყოს მასში შემავალი ქვეპროგრამის / ღონისძიების ბიუჯეტების მიხედვით, როგორც დასაგეგმი, ისე დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის, დაფინანსების წყაროების (საბიუჯეტო სახსრები, კრედიტები/გრანტები და საკუთარი სახსრები) გამოიჯვნით. ქვეპროგრამის/ლონისძიების კოდი უნდა წარმოადგენდეს შესაბამისი პროგრამის კოდის ჩაშლას ქვედა დონეზე;

2.7 **„ინფორმაცია პროგრამაში შემავალი ქვეპროგრამების/ლონისძიებების შესახებ“** - აღნიშნული პუნქტი ივსება პროგრამის შემადგენელ ყველა ქვეპროგრამაზე/ქვეღონისძიებაზე სათითაოდ და მოიცავს პროგრამულ კოდს, ქვეპროგრამის/ლონისძიების დასახელებას, მისი განხორციელების ვადებს, აღწერას (თუ რა და რატომ ხორციელდება ქვეპროგრამის/ლონისძიების ფარგლებში) და მიზანს. ამ პუნქტში ასევე მოცემული უნდა იყოს შეფასების ინდიკატორები, რომლებიც საშუალებას უნდა იძლეოდეს, შეფასებული იქნას, თუ რამდენად ზუსტად და სწორად განხორციელდა დაგეგმილი ღონისძიებები. ქვეპროგრამის/ლონისძიებას უნდა ჰქონდეს როგორც რაოდენობრივი, ასევე ხარისხობრივი (ეფექტურობის) ინდიკატორები.

3. გარდა ამისა, დანართ N6-ში ასახული უნდა იყოს აგრეთვე ყველა ის დამატებითი ინფორმაცია ქვეპროგრამის/ლონისძიების შესახებ, რომელიც ცნობილია საბიუჯეტო ორგანიზაციისათვის (მაგალითად: დასაქმებულთა რაოდენობა, მათზე გაწეული შრომის ანაზღაურება, მიმდინარე ხარჯები, შეძენილი ტექნიკა

და ინვენტარი და სხვა). აღნიშნული ინფორმაცია არ იქნება ასახული ბიუჯეტის პროექტსა და მის დანართებში.

მუხლი 11. „დანართები N7 (ნაერთი) და N7ა - საბიუჯეტო ორგანიზაციის კაპიტალური ბიუჯეტი“

1. საბიუჯეტო ორგანიზაციის კაპიტალური ბიუჯეტი მოიცავს სხვადასხვა კაპიტალური პროექტების ნაერთ ინფორმაციას. შესაბამისად, დანართი N7 წარმოადგენს საბიუჯეტო ორგანიზაციის კაპიტალურ ბიუჯეტს, სადაც აისახება მსხვილი კაპიტალური პროექტები და მის ფარგლებში შემავალი ქვეპროექტები სათანადო დაფინანსებით, ხოლო დანართი N7ა ივსება ყველა პროექტის მიხედვით და მასში მოცემული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) პროექტის დასახელება და ის ორგანიზაციული კოდი, რომლიდანაც განხორციელდება მისი დაფინანსება;

ბ) პროექტის აღწერა და მისი განხორციელების მიზეზი;

გ) პროექტის დაფინანსების წყაროები;

დ) პროექტზე გაწეული/გასაწევი ხარჯების (კაპიტალური და მიმდინარე ხარჯების გამოჯვანით) მოცულობას შესაბამისი ღონისძიებების მიხედვით.

2. კაპიტალური ბიუჯეტის მიზნებისათვის კაპიტალური პროექტი არის პროექტი, რომელიც დაკავშირებულია არაფინანსური აქტივების ზრდასთან.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც კაპიტალურ პროექტს უკავშირდება სხვადასხვა მიმდინარე ხარჯი (მაგალითად, ტენდერების ორგანიზება, ექსპერტების მოწვევა, საპროექტო სამუშაოები და სხვ.), ისინი აუცილებლად უნდა აისახოს კაპიტალურ პროექტში.

4. დანართი N7 და N7ა ივსება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ ყველა იმ კაპიტალურ პროექტზე, რომელთა განხორციელებას საბიუჯეტო ორგანიზაცია აპირებს, იმისდა მიუხედავად, იგი წარმოადგენს მიმდინარე პროექტის გაგრძელებას, თუ ინიციატივას დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის და თუ:

ა) მშენებლობის, რეკონსტრუქციის, შეკეთების შემთხვევაში - მისი ღირებულება უდრის ან აღემატება 50.0 ათას ლარს და მისი გამოყენების ვადა არანაკლებ 5 წელია;

ბ) აღჭურვილობის, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებების (გარდა სამხედრო აღჭურვილობისა) შეძენის შემთხვევაში - ერთი ერთეულის ან მთლიანი პროექტის ფარგლებში შეძენილი საერთო რაოდენობის ღირებულება უდრის ან აღემატება 150.0 ათას ლარს და მისი გამოყენების ვადა არანაკლებ 3 წელია.

5. პროექტის ღირებულება მოიცავს პროექტთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, მათ შორის: ტერიტორიის და მასალის შეძენას, გაწეულ შრომას, არქიტექტურულ და საინჟინრო სამუშაოებს და ა.შ.

6. ის კაპიტალური პროექტები, რომლებიც ინდივიდუალურად ვერ აკმაყოფილებენ ზემოხსენებულ განსაზღვრებას, მაგრამ, თავიანთი შინაარსით, კაპიტალური ბიუჯეტის ნაწილია და მათი ჯამური ღირებულება საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვან ხარჯს წარმოადგენს, დაჯგუფებული უნდა იქნას და მათ საერთო ღირებულებაზე საბიუჯეტო ორგანიზაციამ უნდა მოამზადოს კაპიტალური პროექტის ცალკე განაცხადი.

7. ამასთან, ორივე დანართი ითვალისწინებს ცხრილებს, რომლებიც საბიუჯეტო ორგანიზაციამ უნდა შეავსოს იმ შემთხვევაში, თუ მას მოთხოვნილი აქვს ასიგნებები ზღვრული მოცულობების ზემოთ. აღნიშნული ცხრილები ივსება განსაზღვრული ზღვრული მოცულობების ზევით მოთხოვნილი თანხების გათვალისწინებით.

მუხლი 12. „დანართი N8 - ინფორმაცია ზღვრული მოცულობების ზემოთ მოთხოვნილი საბიუჯეტო ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის შესახებ“

ამ დანართის შესაბამისად საბიუჯეტო ორგანიზაციებმა საჭიროების შემთხვევაში უნდა წარმოადგინონ კონკრეტული საბიუჯეტო ორგანიზაციისთვის საფინანსო ორგანოს მიერ განსაზღვრული საორიენტაციო ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის ზღვრულ მოცულობებზე დამატებითი მოთხოვნა თითოეული ორგანიზაციული კოდის მიხედვით, შესაბამისი დასაბუთებით და გაანგარიშებით.

თავი 4. დასკვნითი დებულებები

მუხლი 13. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი დადგენილებით, რომელიც მიიღება საერთო წესის საფუძველზე.